საქ. შემარცხენე სოც.-ფედ. საბჭოთა პარტია

ტფილისი

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ლირს
თვიურად 1,250,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 75,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

ბანცხადების ფასი:
1 გვ. 250,000 მან. ნონპარელი
4 „ 200,000 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 2,000,000 მან.
4 „ 2,000,000 „

№ 529 სამშაბათი, ივლისის 24 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 75,000

რუბიკონი გადალახულია

როგორც რადიო-დეპეშებმა გადმოგვცეს „ლოზანას კონფერენციის გენერალურმა მდივანმა მასილიმ ამხ. ჩიჩერინს გამოუგზავნა დეპეშა, რომელშიაც აცნობებს, რომ საზავო ხელშეკრულება და აგრედვე ხელშეკრულება სრუტეების შესახებ, რომლის ტექსტი განხილული იყო რუსეთის დელეგაციის მონაწილეობით ლოზანას კონფერენციაზე 1 თებერვალს, ხელმოწერილი იქნება 24 ივლისს, გენერალური მდივანი სთხოვს ამხ. ჩიჩერინს აცნობოს მას, თანახმა არის თუ არა ს. ს. რ. კ. მიიღოს ხელშეკრულება სრუტეების შესახებ დღევანდელი სახით და თანახმა არის თუ არა ს. ს. რ. კ. გაგზავნის ლოზანაში რწმუნებულები მის ხელმოსაწერათ. იმ შემთხვევაში თუ 24 ივლისისათვის საბჭოთა წარმომადგენლები ვერ მოასწრებენ ლოზანაში ჩასვლას, კონფერენციამ გადასწყვიტა საშუალება მისცეს მათ, ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას სტამბოლში 14 აგვისტომდი“.

„საპასუხო ნოტაში ამხ. ჩიჩერინი აღნიშნავს, რომ თუმცა საბჭოთა მთავრობა ხელშეკრულებას სრუტეების შესახებ დღევანდელი სახით არადამაკმაყოფილებლად სთვლის, რადგან მას არ შეუძლია მტკიცე მშვიდობიანობის უზრუნველყოფა ახლო აღმოსავლეთში, ვინაიდან შავი ზღვისა და სრუტეების გახსნა უცხო სახელმწიფოების სამხედრო გემებისათვის საფრთხეში აგდებს ს. ს. რ. კ. და ოსმალეთს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საბჭოთა მთავრობა, ხედავს რა, რომ ამ ჟამად არ არის სხვა შესაძლებლობა შეთანხმებისათვის ახლო აღმოსავლეთში, თანახმა არის მშვიდობიანობის ინტერესებისათვის ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას სრუტეების შესახებ დღევანდელი სახით, მხოლოდ ის უფლებას იტოვებს აღძრას მომავალში საკითხი ხელშეკრულებაში შესწორებების შეტანის შესახებ. საბჭოთა მთავრობა არ სცნობს შესაძლებელათ თავის წარმომადგენლების გაგზავნას შვეიცარიაში და ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას ახდომს ს. ს. რ. კ. სრულუფლებიან წარმომადგენელს იტალიაში ამხ. იორდახსკის, რომელიც ჩავა სტამბოლში ამ მიზნით არა უგვიანეს 14 აგვისტოსა“.

ამ რიგად საბჭოთა ფედერაციის წარმომადგენელი პირველად მოაწერს ხელს ანტანტის სახელმწიფოებთან ერთად საერთაშორისო აქტზედ. ინგლისსა და საფრანგეთთან ერთად ახლად ჩამოყალიბებული საბჭოთა ფედერაცია მონაწილეობას ღებულობს საერთაშორისო მნიშვნელობის საქმის მოწესრიგებაში.

საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაცია, რომელიც არავისგან არ არის ჯერ ცნობილი არც ფაქტიურად და არც იურიდიულად, ისეთ ძალას წარმოადგენს ფაქტიურად, რომ მას ანგარიში არ გაუწიონ აღარ შეიძლება. საბჭოთა სახელმწიფოების კავშირის იზოლაცია და გვერდის ავლა ყოველ გვარ მნიშვნელობას და ძალას დაუკარგავდა სრუტეების შესახებ დადებულ შეთანხმებას. ასეთია სინამდვილე და ანტანტის სახელმწიფოებიც იძულებულნი არიან კბილთა ღრჭენით გვერდში ამოიყენონ შრომის რესპუბლიკათა უდიდესი ფედერაცია, ანტანტის და კაპიტალიზმის შეურიგებელი მტერი და მესაფლავე.

საერთაშორისო ძალთა განწყობილება აიძულებს ორივე მხარეს, ანტანტასაც და საბჭოთა ფედერაციასაც წავიდნენ დიდ კომპრომისზედ.

საბჭოთა მთავრობა არ არის კმაყოფილი სრუტეების გახსნით, ვინაიდან ჩვენი საზღვაო ძალების სისუსტის გამო საფრთხეშია ჩვენი ინტერესები, მაგრამ მიუხედავად ამისა მშვიდობიანობის ინტერესებისათვის ხელს აწერს ასეთ ხელშეკრულებას, ვინაიდან არ აღმოჩნდა სხვა შესაძლებლობა შეთანხმებისათვის ახლო აღმოსავლეთში. ამავე დროს საბჭოთა მთავრობა უფლებას იტოვებს აღძრას მომავალში საკითხი ხელშეკრულებაში შესწორების შესატანად.

ასეთია საბჭოთა სოციალისტური ფედერაციის პოზიცია, და სხვა გვარი არც შეიძლებოდა ყოფილიყო, ჩვენის ფიქრითაც.

მაგრამ ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვაძლევთ იმ გარემოებას, რომ საბჭოთა მთავრობა ამის შემდეგ ცნობილი იქნება de facto საერთაშორისო მაშტაბში, რასაც ალბად მალე მოჰყვება იურიდიულად ცნობაც. ამისთვის რუბიკონი უკვე გადალახულია.

თვალსაჩინო გაკვეთილი

ამას წინად არაჩვეულებრივ მოვლენას ჰქონდა ადგილი ინგლისის ცხოვრებაში. მუშათა პარტიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელთაგანმა,—სნოუდენმა, წიხადადება შეიტანა პარლამენტში; **კაპიტალიზმის მაგივრად სოციალიზმი შემოვიღოთო.** პარლამენტმაც სერიოზულად იმსჯელა ამ საგანზედ, კამათში მონაწილეობა მიიღეს ლოიდ-ჯორჯმა და ბალდვინმა და ასე სერიოზულად უარყვენ სნოუდენის წინადადება.

ყოველივე ამაში რასაკვირველია ერთის მხრით ის, რომ სოციალისტს სნოუდენს ისეთი წინადადება შეაქვს პარლამენტში და მეორე კიდევ ისიც, რომ პარლამენტი ამაზედ სერიოზულად მსჯელობს.

მართალია ინგლისის „მუშათა პარტია“ ჯერ არა სდგას რევოლიუციონურ გზაზედ და დემოკრატიული გზით, ჰფიქრობს სოციალიზმის დაყარებას, მაგრამ სნოუდენის საქციელი მაინც უცხაურია, რომ თემთა პალატაში მუშათა პარტიას უმოავლესობა ჰყოლოდა, მაინც სნოუდენის წინადადებას აზრი ექნებოდა, მაგრამ სნოუდენმა კარგად იცოდა თავისი ძალები და მაინც მეაქვს ასეთი წინადადება! ნუთუ დასაშვებია სნოუდენის ასეთი გულუბოყვილობა, ვითომც ეს იმედი ჰქონოდეს, რომ პარლამენტი მის წინადადებას მიიღებდა? რასაკვირველია ეს ასე არ არის. სნოდენი გულობრყვილოა და სცდება იმდენად, რამდენადაც მას სჯერა ჯერ კიდევ, რომ მუშათა პარტია პარლამენტს ჩააგდებს ხელში და მისი საშუალებით ურევოლიუციოდ, მშვიდობიანობის გზით დააყარებს სოციალიზმს. მაგრამ იმედი იმისა, რომ ინგლისის ეხლანდელი პარლამენტი მიიღებდა მის წინადადებას გულუბრყვილობა კი არა, პირდაპირ საარაკო სისულელე იქნებოდა. სნოუდენის წინადადებას მხარი დაუჭირა პარლამენტის დაახლოვებით 25-მა პროცენტმა. ეს რასაკვირველია წინდაწინ იცოდა სნოუდენმაც.

მაშ რაღა აზრი ჰქონდა მის წინადადებას? უსათუოდ აზრი ჰქონდა. საქმე იმაში გახლავთ, რომ ინგლისში რევოლიუციონური სოციალიზმის პრინციპები და საფუძვლები არაა გავრცელებული და გამჯდარი მშრომელთა მასსებში, იქ უფრო იმ აზრისა არიან, რომ „კეთილ-შობილი ლორდები“ არ წავლენ წინააღმდეგ სოციალიზმისა, როცა ის აუცილებელი გახდება ქვეყნისა და ხალხის გადასარჩენად განადგურებისაგან. და სანამ ასეთი რწმენა არსებობს მასებში, ყოველი სოციალისტის უპირველესი მოვალეობაა მას ებრძოლოს და მუშები წინააღმდეგში დაარწმუნოს.

აი ამ მიზნით გამოიყენა სნოუდენმა შესაფერი მომენტი. ლოიდ-ჯორჯის, კერზონის და ბალდვინის ცდა, რომ ინგლისში ძველი კაპიტალისტური გზით ნორმალური ცხოვრების პირობები აღადგინოს, უნაყოფო გამოდგა. ინგლისის მრეწველობა არ ვითარდება და ორ მილიონამდე უმუშევრები უკიდურეს გაჭივრებას განიცდიან. არ არიან კმაყოფილი არც ისინი ვისაც სამუშაო აქვს და გაფიცვები მუდმივ მოვლენად გადაიქცა ინგლისში. ეხლაც გაფიცულია ნავთსადგურების მრავალი ათასი მუშები. საერთაშორისო ურთიერთობაშიაც ვერაფერს გახდა ინგლისის დიპლომატია. მისი იმედები არ გამართლდა არც გენუაში, არც ვაშინგტონში, არც რურში და არც ლოზანაში. ერთი სიტყვით, კაპიტალისტური სისტემა ყოველ დარგში გაკოტრდა. და აი ამ წუთს სნოუდენი მოითხოვს უარყოფას ძველი კაპიტალისტური გზის, რომელმაც ვერავინ ვერ დააკმაყოფილა და გადასვლას ახალ სოციალისტურ საფუძველზედ, რომელსაც ერთად ერთს შეუძლია კაცობრიობის ხსნა იმ კრიზისისგან, რომელიც შეჰქმნა კაპიტალისტურმა რეჟიმმა. „კეთილშობილ ლორდებს“ აუცილებლად უხდა მიეღოთ ეს წინადადება, რომ მათ მართლაც სამშობლოს და ხალხის ბედი ამოძრავებდეთ. მაგრამ მათ უარყვეს სნოუდენის წინადადება და ამით ყველასათვის აშკარა გახდა, რომ ლორდები და კაპიტალისტები ყველაფერზედ მაღლა თავის საკუთარ ინტერესებს აყენებენ და ხალხი, სამშობლო ფეხებზედ ჰკიდიათ. ამაზედ ლაპარაკი ჩვენში სასაცილოა, მაგრამ ინგლისში, როგორც მოგახსენეთ სხვა მდგომარეობაა.

და ასეთ დასკვნამდე ინგლისელ მასების მიყვანა, მათი დარწმუნება. რომ ბურჟუაზია და არისტოკრატია მართო თავის კლასობრივ ინტერესებზე ზრუნავს და მას არ შეუძლია ამ გზას გადაუხვიოს მაშინაც კი, როცა ყველასათვის თვალსაჩინოა, რომ სამშობლოს და ხალხის ინტერესები სულ სხვას მოითხოვს. აი ასეთ დასკვნამდე მიყვანა ფართო მასებისა ინგლისში უსათუოდ დიდი ნაბიჯია წინ და სნოუდენის წინადადებაც სწორედ ამ მხრითაა გასამართლებელი. სხვა აზრი მას არ შეიძლებოდა ჰქონოდა.

რაც შეეხება იმას, რომ ლორდები მოთმინებით შეხვდნენ სნოუდენის წინადადებას და სერიოზულად იმსჯელეს მაზედ. ეს აიხსნება ჯერ ერთი ინგლისელების ხასიათით და პარლამენტარული ტრადიციებით და უფრო კი იმით, რომ ასეთ კრიტიკულ და გამწვავებულ მომენტში, როცა აუარებელი მუშებია მუშათა პარტიის წინადადება აბუჩად აიგდო. იმიტომ მაზედ სერიოზულად იმსჯელეს და უარყვეს ვითომც იმიტომ, რომ დაამტკიცეს მისი მიუღებლობა და სნოუდანის საშუალების უსაფუძვლობა.

სნოუდენის საბუთების უსაფუძვლობა.

ამ რიგად ინგლისის მუშათა პარტიამ ყველა კანონიერი საშუალებანი ამოსწურა და უნდა ვიფიქროთ, აწი მისი გზა იქნება გზა რევოლიუციისა. ამის სიმპტომებად შეგვიძლია ჩავსთვალოთ ის სკანდალი ინგლისის თემთა პალატაში, რომელიც გამოიწვია კირკვუდმა.

„მან დაიწყო თავის სიტყვა განცხადებით, რომ ის, იმყოფება არა პალატაში კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლათ, არ გაუწევს ანგარიშს პალატის რეგლამენტს. „პალატის მომხრენი,—განაცხადა მან,—ფიქრობენ, რომ ისინი წარმომადგენელნი არიან უმაღლესა რასის, ნამდვილათ კი არიან მკვლელები. ზოგიერთ პალატის წევრებს წარმოდგენილი აქვთ თავიანთი თავი კეთილშობილ ლორდებათ, ნამდვილათ კი ისინი გაიძვერა ლორდებია“.

თავმჯდომარემ მოუწოდა კირკვუდს წესიერებისაკენ, მიუხედავათ ამისა კირკვუდა განაგრძობდა: „ინგლისში შემოსვლის უფლება ეკრძალებეთ უცხოელ მუქთახორებს და მონარქისტებს კა აღტაცებით ხვდებიან.

როდესაც კირკუდმა ინგლისის ეროვნულ დროშას ურბალო ჩვარი უწოდა, პალატის წევრთა უმრავლესობამ სასტიკი პროტესტი განაცხადა, მოითხოვა რა ამასთან ერთად პალატიდან მისი დაუყოვნებლივი გაძევება. ხმაურობაში და ყვირილში კირკვუდმა დაამთავრა: „დეე, ინგლისის მმართველმა კლასებმა იცოდნ, რომ სოციალისტები იბრძოლებენ მანამ, სანამ არ დამყარდება სოციალისტური რესპუბლიკა, თუნდაც იარაღის საშუალებით.

თითქოს თავისთავად იგულისხმება, რომ ამ სკანდალს უსათუოდ წინ უძღოდა სნოუდენის წინადადება და მისი უარყოფა პარლამენტის მიერ.

ო.

ზღვის რაკრ

იყო დრო, როცა ნაციონალურ საკითხზე რამეს თქმა შოვინიზმად ინათლებოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ახლა ასე აღარ არის. თურმე არც ისე კონტრ-რევოლიუციონური ყოფილა ეროვნული იდეების დაცვა. დღეს ამაში ყველა დარწმუნებულია და გუშინდელი ანტინაციონალისტი დღეს ნაციონალისტი არის—და ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ის შოვინისტი გახდა, ან-და ჩამოშორდა რევოლიუციას; არა. პირიქით, ის უფრო რევოლიუციონერია, რადგანაც იცავს რევოლიუციის პროცესსიდან ბუნებრივად გამომდინარე ერთა განთავისუფლების და სრული თვითგამორკვევის საქმეს.

სხვა მრავალ უარყოფით ჩვეულებასთან, ქართველებს ერთი ძალიან საზიანო ჩვეულება გვაქვს. თუ კი ცოტა რამ გავაკეთეთ, გამადიდებული შუშით უცქერით მას, რათა დიდათ მოგვეჩვენოს იგი და დიდი საქმის გაკეთებას შემდეგ, რა თქმა უნდა დიდი დასვენებაა საჭირო. ძალიან გვიყვარს ლაპარაკი. ნალაპარაკევის და დაპირების მეათედს რომ გავაკეთებდეთ, ჩვენი საქმე კარგად იქნება. სიტყვების კორიანტელში ვქმნით ილიუზიებს... ძლიერნი ვართ თეორიაში, მაგრამ როდესაც პრაქტიკაში გადავდივართ სიზარმაცე ისადგურებს ჩვენში. მივკიბმოვკიბავთ საქმეს, რაღაცას დავიწყებთ, რაღასაც გავაკეთებთ – და გათავდა საქმე...

მე მინდა ერთს ძალიან არა ნორმალ მდგომარეობას მივაქციო მკითხველის ყურადღება, ამის ანალოგიურ საკითხებს და თვით ამის შესახებაც ხშირია წერილები ამ გაზეთის ფურცლებზე; მაგრამ თუ ხშირად ნაყოფი გამოულია (და ისიც ძალიან გვიან), უფრო ხშირად რჩებოდა „ხმად მღაღადობელისა უდაბნოსა შინა?“

ბევრი ჩვენგანი ხშირად გაივლის ჩვენი დედაქალაქის პროსპექტებს და მთავარ ქუჩებს. წიგნის სავაჭროები ერთძანეთს ეცილებიან დარაბების, ვიტრინების, წარწერების, რეკლამების უკეთესობაში და აუარებელი, ყოველგვარი წიგნების გამოფენაში. წამოდით ვერის დაღმართიდან რუსთველის პროსპექტით სასახლემდე. რომ თითებზე დაიწყოთ წიგნების საკაჭროების დათვლა, თქვენ არ გეყოფათ თავისი ხელ-ფეხის თითები. საუცხოვო გამოცემები არის. თვით ყდა და მასზედ მხატვრობა გეუბნებათ გემოვნებაზედ, მაგრამ ამ წიგნებში იაქესავით ვერ შეხვდებით ქართულს.

იმედს ნუ დაჰკარგავთ... აქა-იქ წააწყდებით ქართულ წიგნების სავაჭროებსაც. მაგრამ აქ ერთი რამ გამოურკვეველია... ვსცდები, რომ ქართულს უწოდებ... მაგრამ არა... წარწერა ხომ ქართულადაც არის და აგრეთვე თუ ორი წილი რუსული წიგნებია, ერთი წილი მაინც არის ქართული. ფარდის უქონლობის გამო მზის სხივებით ისე გაყვითლებულა ისედაც „საცოდავი“ გამოცემები, რომ ჭლექს დამსგავსებია და გეგონებათ წარღვნამდინ დაბეჭდილია. აი, ამგვარი ნიშნებით მიხვდებით ქართულ წიგნების სავაჭროებს.

ბაზარზე არ არის ქართული წიგნი და თუ არის, ისე ცოტა და ფერმკრთალი, რომ მისი არსებობა არა სჩანს. სახელმწიფო გამომცემლობას ეტყობა ძალიან სისუსტე. მე არ ვიცი რა პირობების ბრალია ეს სისუსტე, მაგრამ სინამდვილე კი არის მისი ეს თვისება. განათლების კომისარიტს უამისოდაც დიდი საქმე და ხარჯი აქვს; შეიძლება ეს არის ერთი მიზეზთაგანი. ქართული წიგნი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილების მინიმუმს. ჩვენი წიგნები მომაკვდავად გამოიყურებიან აქა იქ ვიტრინებში. რუქა გჭირიათ უცხო კაცს, რომ მათი სავაჭრო მიაგნოთ, მაშინ როცა რუსულ წიგნების სავაჭროები თვით ტრამვაის ვაგონების სახურავზე წარწერებით სადგურიდან გპატიჟობენ.

დღეს ქუჩა ერთგვარი დეპეშათა სააგენტოა... იგი სახეა ადგილობრივი სინამდვილის. დიოგენის ფანარით, რომ დაუწყოთ ძებნა ქართულ ასოებს საგანცხადებო სვეტებზე, იქნებ იპოვოთ სადმე ერთი-ორი.

ქართული თეატრის სეზონის დახურვის შემდეგ, როცა ყველა სვეტები კინო-თეატრებმა დაიპყრეს, რა გასაკვირველია, რომ ქართული განცხადება ვერ ნახოთ. ასეთივე მოვლენა და მდგომარეობა არის ყველა სხვა სავაჭროებში და დაწესებულებებში. უცხოელი რომ აქ ჩამოვიდეს და ქართული კითხვა იცოდეს, ის ვერ დარწმუნდება, ქალაქის გარეგანი სახით, რომ აქ საქართველოა.

შებრძანდით დაწესებულებაში და თუ ითავხედეთ და მოსამსახურეს (რომელიც პროვინციიდან მისმა ბიძაშვილმა ჩამოიყვანა და აქ მოაწყო) ქართულად გაელაპარაკეთ—თქვენი საქმე დაღუპულია. ის თქვენზე თავს არ შეიწუხებს, იმიტომ რომ თქვენში ვერ დაინახავს ინტელიგენტს, ნასწავლს და დიდ კაცს: ამ მოვლენას ძალიან შორს—სიღრმეში აქვს ფესვები. ეს არის ტრადიცია ცარიზმის მიერ შექმნილი საუკუნეს განმავლობაში. ჭეშმარიტ რევოლიუციონერის ვალია ამ მოწამლული ატმოსფერის და ცარიზმის ნაშთების გაწმენდა. რა ეშველება სოფლის გლეხს, რომ ცენტრში საქმე დაურჩეს. თუ კი ელირსა აქედან განთავისუფლება, მას შემდეგში აქეთ პირს ვერ აქნებიებთ იმიტომ, რომ „ქალაქის არა ესმის რა“ (ეს სიტყვები თითონ მე გავიგონე გლეხიდან)

და კიდევ რამდენი ფაქტები და მოსაზრებები შეგვიძლია მოვიყვანოთ ამის შესახებ...

ილიუზიები და მირაჟები ქრებიან. რჩება რეალი ცხოვრების ჩონჩხი. ჩვენი ვალია მას ხორცი შევასხათ.

არავის მოეჩვენოს რუსულ ენას პატივს არ ვსცემდეთ. ეს დანაშაულობა იქნებოდა. დათვური სამსახური არავინმა გასწიოს. სწორედ რევოლიუციის პატივისცემა მოითხოვს განკურნებას იმ იარებისას, რომელზედაც ლაპარაკით წუთები წაგართვით.

ვსთქვით,—ვამბობთ და ათი-ათასჯერ კიდევ ვიტყვით, თუ კი ეს გამოგვაფხიზლებს და საქმეს წაადგება.

იხინ.

კიდევ საქართველოს მუზეუმის ფასადეგის გამოფენის შესახებ

გამოფენა გაგრძელებული იყო კიდევ სამი დღით, და ჩვენც მოვასწარით მეორეთ დასწრება, მივაქციეთ ყურადღება გეგმების ტექნიკურ მხარესაც. მაგრამ ჩვენ აქ აღარ შევეხებით იმ გეგმებს, რომლების შესახებ ჩვენი დასკვნა უარყოფითი იყო. გამოვსთქვამთ ჩვენ აზრს მხოლოდ კალგინის და კალაშნიკოვის გეგმების შესახებ.

კალგინის გეგმაში ახლად მიდგმული წინიდგან დახურული დერეფანი მართალია დიდ მუშაობას და დიდ ხარჯსაც გამოითხოვს, მაგრამ რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც ჩვენ წინანდელ წერილში („ტრიბუნა“ № 526) ვსთქვით ხარჯს არ უნდა შეუშინდეთ. შეიძლება ამ გეგმამ მზვერელში გამოიწვიოს ერთ გვარი ეჭვი: მუზეუმის მთავარი შენობა მთლიანად უკვე რამდენიმე წელიწადია აგებულია, შენობამ დაიწია და დაჯდა, ახლად მიდებული მძიმე დერეფანი კი დაიწევს და დაჯდება, და ვითომ მოშორდება მთავარ შენობას, მაგრამ ეს არც ისე საშიშია: ეს არა სასურველი მოვლენა ადვილად ასაცილებელია ტექნიკურად. მაინც ეს გეგმა არ არის მისაღები მხოლოდ იმიტომ, რომ ძალიან ენათესავება თავის მახლობელ მეზობელს—განათლების კომისარიატის შენობას. რაკი ჩვენ შეუდექით ჩვენი ეროვნული ხელოვნების აღორძინებას, საჭიროა ახალ-ახალი შემოქმედება.

კალაშნიკოვის გეგმა არ გამოითხოვს დიდ დამატებითი მუშაობას—წინიდგან მიდგმული დაბალი და ახდილი ჰეივანი არც მძიმეა, ადვილად ასაგებია და დიდ ხარჯსაც არ გამოიწვევს. ჩვენ ქვეყანაში აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ შენობისთვის დერეფანი და ჰეივანი,—ეს დამმახასიათებელი ნაწილები არიან ქართული შენობისა, და მერმე რანაირად უხდება კალაშნიკოვის ფასადს იმისი კოხტა და ნაზი ჰეივანი!

მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ სპეციალურ კომისიას უკვე გადაუწყვეტია სეევროვის გეგმის მიღება, **მხოლოდ იმ პირობით რომ საამშენებლო კომისიამ ეს გეგმა უნდა გადააკეთებინოს:** მოახსნეინოს ზემოდგან წამოდგმული ფანჩატური და ჩაუმატოს უფრო მსხვილი ჩუქურთმები... ფანჩატურის მოხსნა აუცილებლად საჭიროა, მაგრამ მაინც ფასადი უშნოა—თავახდილი რჩება, საჭირონი არიან მთავარ ლავგარდანზე ზემოდ ამაღლებული ნაწილები—კოშკები, და მაშინ ფასადი ზემოდგან დამთავრებული იქნება.

კიდევ სხვა ბევრი გადაკეთება დასჭირდება სეევროვის გეგმას თავის გაუმჯობესებისთვის და მათ შორის ჰეივანი, ახდილი ჰეივანი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. დახურული დერეფანი არ ვარგა მუზეუმისთვის: ბევრ სინათლეს წაართმევს.

როგორც გავიგეთ ყველა გამოფენილი გეგმები მუზეუმის საამშენებლო კომისიის საკუთრებანი ყოფილან, მაშასადამე მიღებული გეგმის გადაკეთებისას კომისიას შეუძლიან ისარგებლოს ამ მასალებით, და კალაშნიკოვის გეგმასაც გამოიყენებს. მხოლოდ რომ მიღებული გეგმის გადაკეთება მიზანშეწონილი იყოს და მართლა საგანგებო რამ იყოს შემუშავებული ჩვენ **საჭიროდ ვსთვლით ხუროთმოძღვრისა კალაშნიკოვის მიწვევას საამშენებლო კომისიაში,** აგრეთვე **საჭირო არის მიწვევა კომისიაში** (თუ ჯერ მიწვეულნი არ არიან, ხუროთმოძღვარისა **კალგინისა** და მხატვარიც **გორინევსკისა** და რა თქმა უნდა რომ **სპეციალურმა კომისიამ,** რომელმაც ამოარჩია სეევროვის გეგმა, **უნდა განაგრძოს ხელმძღვანელობა,** რომ მოაყვანიოს აღსრულებაში თავისი შეხედულებანი, რომელნიც დაავალა საამშენებლო კომისიას სეევრსკის გეგმის გადაკეთებისათვის.

საქართველოს მუზეუმის ფასადი დიადი და მძლავრი უნდა იყოს და ამიტომ აჭრელება ჩუქურთმებით არ მოუხდება, ქართული ეროვნული ხასიათი-კი უამისოდაც შეიძლება მიეცეს. ეხლანდელი მინარები მოხერხილნი უნდა იყვნენ.

კიდევ და კიდევ ვიმეორებთ, რომ საქართველოს მუზეუმის ფასადის საკითხი სწყდება ერთხელ და სამუდამოდ, და ამიტომ ჩვენ უნდა ვისარგებლოდ ყველა მასალით, ყველა ძალებით, რომ მართლა საგანგებო რამ შეექმნათ. რამდენი საუკუნეა სიონის ტაძარი ჩვენი ძველად-ძველი ხელოვნების წარმომადგენელი? ვინ იცის რამდენი საუკუნე დარჩება საქართველოს მუზეუმი მოწმად თუ როგორად მომზადებულნი დახვდნენ ქართველობა თავის დამოუკიდებლობას და ქართული ხელოვნება თავის ახლად აღორძინებას.

საკვირველია, რომ ტფილისის ქართველობა სრულებით არ გამოეხმაურა ამ დიად ეროვნულ საკითხს; მაგრამ საზოგადოებას ვერ უსაყვედურებთ: გამოფენა არ იყო წესიერად მოწყობილი.

ინჟენერი **ივ. თულაშვილი.**

—

P. S. წინა წერილში („ტრიბუნა“ № 526) შეპარებულია კორექტურული შეცდომები: სწერია: პირველი ჯგუფი... ნეპრინციკისა“—უნდა იყოს: „ . . . „ნეპრინცევისა“; სწერია: „მეორე ჯგუფს შეადგენ“, უნდა იყოს: „მეორე ჯგუფს შეადგენენ“; სწერია (სუვერიკის გეგმის შესახებ): „საკმარისია ქორმა წამოურბინოს“,—უნდა იყოს: „საკმარისია ქარმა წამოუბეროს“; სწერია (კალგინის გეგმის შესახებ): „შუაგულის შუბლიანი“,—უნდა იყოს: „შუაგულის შუბლანი“; იქვე სწერია: „ემზგავსება კალგონის“,—უნდა იყოს: „ემგზავსება კალგინის“; სწერია (კალაშნიკოვის გეგმის შესახებ): „ქართული შუბლანი“,—უნდა იყოს: „ქართული შუბლანით“; იქვე სწერია: „ჩვენი ხუროთმოძღვრების“, უნდა იყოს: „ჩვენი ხუროთმოძღვრობის“; სწერია (წერილის ბოლოში): „იდგა ჩვენი ხუროთ მოძღვრება“, უნდა იყოს: „იდგა ჩვენი ხუროთმოძღვრობა“.

ი. თ.

— **ტფილისის ელექტროფიკაცია.** ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტრონულ სადგურისათვის პეტროგრადიდან იგზავნება 3 დიზელი—მანქანა სამასი ცხენის ძალისა. პირველი დიზელი უკვე გზაშია.

— **ტფ. გამასწორებელ-სახელოსნოს ქარხანა.** ტფ. № 1 გამასწორებელ-სახელოსნოს საპნის ქარხანა, რომელიც ამ დღეებში დაიწყებს მუშაობას.

— **ტფ. ლოთობის წინააღმდეგ საბრძოლველი ზომები.** ტფილისის აღმასკომის დადგენილება ლოთობასთან ბრძოლის მიზნით, და აგრეთვე ქალაქში წესრიგის დაცვისათვის, ტფილისის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა შემდეგი: 1. ყველა მოქალაქეთ ეკრძალებათ სიმთვრალე საზოგადო ადგილებში, ქუჩაში, კლუბებში, კაფეში ან რესტორანში და სხვა. აგრედვე ეკრძალებათ ყვირილი ხმაურობა, სიმღერა, და უწმაწური სიტყვები; 2. დამნაშავენი ამ სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დაისჯებიან: ა) ჯარიმით 25-დან 200 მანეთით ჩერვონცებით, ან ბ) ერთი თვით იძულებითი მუშაობით, ან ერთი თვით დაპატიმრებით. 3. ებრძანოს მილიციას, რომ მან მიიღოს სწრაფი ზომები. ამ დადგენილების სასწრაფო ცხოვრებაში გატარებისათვის.

— **შირაქის ნავთი.** შირაქის ნავთის ადგილებში უკვე მზათ არის ოთხი ნავთის ამოსაღები ჭა, რომლიდანაც იღებენ დღე-ღამეში 250 ფუთ ნავთს, სადგურ წნორის-წყალზედ იგზავნება ბაკებით ნავთი კვირაში ორჯერ. შირაქის ნავთის ალაგას ჭურჭლის სიმცირეა რომ ნავთი ჩაასხან და უფრო წესიერად გამოგზავნონ. ამას ყურადღების მიქცევა უნდა ვისგანაც ჯერ-არს. ამოღებულ ნავთს ასხავენ ისევე ორმოებში, რის გამოც ბევრი უბრალოდ იკარგება.

— **სტიპენდია მედიცინის აკადემიაში.** სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის განკარგულებაში არის ერთი სტიპენდია პეტროგრადის სამხედრო სამკურნალო აკადემიაში. მსურველთ სტიპენდიის მიღებისა უნდა მიმართონ განცხადებით და დოკუმენტებით სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატს 27 ივლისამდე.

— **მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.** აღმოსავლეთ საქართველოში წინასწარი მუშაობა დამთავრებულია. ცენტრში მაღებულია უკვე ყველა ცნობები, ცალ-ცალკე მაზრებში, მოსავლის შესახებ, შეძუშავებულია პროექტები მაზრების გასანაწილებლად კატეგორიებათ მოსავლის და მიხედვით.

ახალი ამბები

— **ზედმეტი მუშაობის აკრძალვა.** პოლიგრაფიულმა კავშირმა მიიღო სათანადო ზომები მუშათა ზედ-მეტ შრომის წინააღმდეგ, რათა საშუალება მიეცეს მუშებს თვითგანვითარებისათვის და დასვენებისათვის.

— **ახალგაზრდა მუშათა სკოლები.** ახლო ხანში ტფილისში გაიხსნება ახალგაზრდა მუშათათვის სპეც. ცოდნის შესაძენი სკოლები.

— **არსენ ჯორჯიაშვილის ძეგლის ფონდისათვის.** პოლიგ. კავშირმა კულტ-ფონდიდან გაიღო საქონლის 10 მანეთი არსენ ჯორჯიაშვილის ძეგლისათვის.

— **სოციალურ აღზრდის მართველობაში.** მართველობის განკარგულებაში ივნისში იყო ოცი მილიარდი 620 მილ. მან. რომელიც განაწილდა შემდეგნაირად: სასწავლო ჰასაკამდე აღზრდის განყოფილებას—400 მილ. მან. შრომის სკოლის განყოფილებას—200 მილ. მან. მცირე წლოვანთა უფლებრივ დაცვის განყოფილებას—320 მილ. მან. და სხვა.

— **მუშფაკებში მუშების მზრუნველობა.** აღმშენებლობითმა კავშირმა გადასდო 7 მან. ოქროთი მუშფაკულტეტის სამოსწავლო საგნების შესაძენად.

— **ყრილობა.** პოლიგრაფიულ წარმოების კავშირის ყრილობა დანიშნულია ოც სექტემბრისათვის.

— **თელავის მაზრა.** სეტყვამ კვლავ გააფუჭა ნათესი სოფ. ახურასა და ზემო-ხოდაშენში. ზარალის რაოდენობას იკვლევენ.

— **სპარსეთში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.** რუსეთის „წითელი ჯვარი“ შეუდგა შემოწირულების შეკრებას სპარსეთში მიწის ძვრისაგან დაზარალებულ მცხოვრებთა სასარგებლოდ.

— **რუსეთის საელჩო ბენდერ-ბუშირში.** როდესაც ბენდერ-ბუშირში. (პორტი სამხრეთ-სპარსეთში, სპარსეთის ყურესთან) რუსეთის საელჩოზე დროშა აფრიალეს დაესწრო 600 სტუმარი, და ელჩის მიერ წარმოთქმულს სიტყვას დიდის აღტაცებით შეეგებნენ. ისმოდა საბჭოთა რუსეთის მიმართ ვაშას ძახილი.

— **ბორჩალოს მაზრა.** ბორჩალოს მაზრაში სეტყვამ გააფუჭა ნათესი, ნაწილიც გვალვამ დააზარალა; საერთოდ დაზარალებულია ჰური—1919 დესეტინა, ქერი—156 დეს. ვაზი—511 დ. სიმინდი—11 დ. დაზარალდა 14 სოფელი.

— **დიდუბის ბორანი.** დიდუბე-საბურთალოს შესაერთებლად მტკვარზე ბორანი შენდება.

— **ციებასთან ბრძოლა საბურთალოზე.** უმთავრეს არხის გასუფთავება-გაწმენდის რაციონალურად ქინაქინით წამლობის შემდეგ, ციებ-ცხელებამ საბურთალოზედ საგრძნობლად იკლო.

პარტიები

ზუგდიდი. ა. წ. 29 ივნისს შესდგა მემარცხენე სოც.-ფედ. ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის გაფართოებული სხდომა. დაესწრო 22 ამხანაგი. სხდომას ხსნის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მიხა კაკულია და წინადადება შემოაქვს კრებამ აირჩიოს თავმჯდომარე და მდივანი. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა

თეატრი და ექსპრესიონიზმი.

V. ახალი რელიგია.

ვეუბნები კოტე მარჯანიშვილს.

თეატრის კრიზისი მუდამ ლიტერატურული კრიზისის შედეგია. რადგან თეატრს აუტონომიური ექსისტენცი არასოდეს ჰქონია.

ომამდის არსებული კრიზისის ნიადაგზე წარმოიშვა ის დიდი ლიტერატურული მოძრაობა, რომელიც ექსპრესიონიზმის ანუ აქტივიზმის პაროლით გამოვიდა. ექსპრესიონიზმი არც ლიტერატურული მოდაა, არც ესთეტიური პოზა. იგი ახალი რელიგიაა ევროპის უახლოესი თაობის. მისი წარმოშვების ფონია კაპიტალიზმის თავბრუ დამსხმელი კარუსელი.

ომამდის არსებული ლიტერატურის ტელესკოპები ქაოსსა და ნირვანას უნიშნებდენ, მისი მიკროსკოპები ადამიანის სულის უღრმესს ლაბირინტებს. სიტყვის ტეხნიკაში მიღწეულ პრივილიგიებით ამაყობასაც საზღვარი დაედო. l'art pour l'art-ის უკიდურესმა გამწვავებამ აბსურდულ ფუტურიზმისა და დადაიზმისკენ გადაიტყუა ახალი თაობა. სიტყვის და რითმის ჟონგლიორობა ჩიხში მოემწყვდა. გაიმართა საშინელი დოღი. მოტივები ევროპიული სინამდვილის გარეშე უნდა მოეძებნათ. ძველი ეგვიპტე, ძველი ჩინეთი, ნეგრები, მაია, ინდუსტანი.

ეს იყო გაქცევა თავისთავიდან, ეს იყო გაქცევა თვალწინ მდებარე სანამდვილიდან. ამ სინამდვილეში კი საშინელი ნაპრალი გაითხარა, არავის უნდოდა, ცალი თვალითაც რომ ჩაეხედნა ამ სინამდვილეში.

იზრდებოდა ნაპრალი და ომის კონვულსიებში დამანჭული ადამიანის სული ერთბაშად ხედავს, რომ ეს ნაპრალი უკვე საშინელ უფსკრულად გადაიქცა. გაისმა ისტირიული კივილი უფსკრულთან მისულის პირიდან...

და ეს კივილია ექპრესიონიზმი.

თუ ძველი ხელოვნება ორივე ხელებით უარს ამბობდა სინამდვილე—ახალი ხელოვნებამ აღიარა: არა უარყოფა ამ სინამდვილისა, არამდ ამ სინამდვილის ვიზიონერული ჩვენების გადმოცემა.

ამ ახალი ტკივილების ემბაზში გამობრძმედილ მარადიული ადამიანის ხელში შერჩა ორი რამ უფსკრული და კივილი.

იდეოლოგიური საფუძველი ამ მოძრაობისა 1900 წლიდან მზადდება ევროპაში, მაგრამ ექსპრესიონიზმი, როგორც ლიტერატურული მოძრაობა მსოფლიო ომიდან იწყეფს თავის არსებობის ანალებს.

1900 წელი საბედისწერო მიჯნაა ევროპიული ადამიანობისათვის, ისეთივე, როგორიც, პირველი ათასეული წლების მიწურული. თუ არსებობს ფატალური მიჯნები მსოფლიო ისტორიაში, ეს ორი სანიშნო მისტიციზმის სანიშნოები უნდა იყოს. მეათე საუკუნეშიაც დიდი მისტიური მოძრაობა იწყება დასავლეთში.

მეორე საუკუნის დასაწყისში ევროპაში არაჩვეულებრივი გადატეხა მოხდა. ამ საუკუნის ბჭეებთან დაეცა წმინდა ფრიდრიხ ნიცშეს კოლოსალური ფიგურა. ეს თაობაც, რომელიც იმპრესიონიზმის და დეკადანსის სახელით გამოვიდა საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისში, იტალიასა და დანიაში ნიცშეს გიგანტიურ ბეჭებზე აყრდნობდა ხელებს. თაობა ვერლენისა, და, ანუნციოსი, თაობა უალდის, იენს პეტერ იაკობსენის.

მაგრამ დღეს ჩვენ ვხედავთ რომ ნიცშეს წმინდა სახელის დაკავშირება დეკადანსთან, ეს ერთგვარი შეცოდებაა მის წინაშე.

ნიცშეში იყო დეკადანსის უმნიშვნელო შტრიხები, მაგრამ მის ბუნებაში უფრო ძლიერი იყო აქტივისტური—ჰოსმთქმელი, ვიდრე დეკადენტური—უარის მყოფელი ელემენტი; მის ოდნავ ჰიბრიდულ მსოფლმხედველობაში ჰოს თქმა სჭარბობდა ნიჰილიზმს, ჰოსთქმა სჭარბობდა წყევლას.

ექსპრესიონიზმში ერთმანეთს ჰხვდებიან, აქტივიზმი მისტიციზმი და ესთეტობა.

მაგრამ იმპრესიონისტურ ესთეტობის წინააღმდეგ ჯერ კიდევ 90-იან წლებში საშინელი რეაქცია იყო უკვე დაწყებული.

ფრანგი რაბინერ საქვეყნოდ აღიარებს, რომ „ამიერიდან ყოველნაირი თქმა, გამოთქმა, პოეზია და ლიტერატურა უნდა იქნეს ეთიური, მაშასადამე მეტაფიზიკური“.

ასეთსავე მეტაფიზიკურ მოქცევას ჰქადაგებენ გერმანელი აქტივისტები.

ნიცშესაგანვე ნაანდერძევი აქვს ექსპრესიონიზმს ახალი პათოსი. ექსტატიური პათოსი.

უშორესს წარსულში ექსპრესიონიზმი პლატინს ეყრდნობა: პაროქსიზმი ღმერთდალეულობაშია მოცემული.

ექსპრესიონიზმი ეპოქის უკანასკნელი სიტყვაა Fdschrei—..... იტყვიან გერმანელი აკტივისტები.

თუ იმპსერიონიზმის კინსფქვენტური მემკვიდრე ფუტურიზმი „ძველ„ (sic) კულტურასთან კავშირის გაწყვეტას გულისხმობდა. ექსპრესიონიზმი აშკარად აღიარებს თავის უდავო კავშირს ამ კულტურასთან. მისი სათავეები იმანენტურად მოცემულია ჰოლდერლინში, შექსპირში, შტრინდბერგში, გრიუნევალდში, დურერში და, თუ გნებავთ მაისტერ ეკარტში.

არც ერთი ლიტერატურული მოძრაობა არ დაწყებულა ევროპაში ისე, რომ ამ ძველი მემკვიდრეობიდან რაიმე არ უსესხებია.

განა იმპრესიონიზმი უალდისა და დეანუნციოს ან ჰოფრმანსტალის სახით არ სესხულობდა ანტიკიდან და რენესანსიდან?

საგულისხმოა, რომ ძველ იმპრესიონისტურ ბანაკიდან ჯერჯერობით ექსპრესიონისტებს მიემხრნენ: რაინერ მარია რილკე, ჰაინრიხ მან და ჰუგო ფონ ჰოფმანსტალ.

ექსპრესიონიზმი შეიჭრა ევროპიულ თეატრში, სამი ვარსკვლავი ექსპრესიონიზმისა: ფრიც ფონ უნრუჰ, ერნსტ ტოლლერ, გეორგ კაიზერ—იმავე დროს თანამედროვე თეატრის უდიდესი მნათობებია.

Kurzunq und Ballúng (შემოკლება, შემრგვალება) ეს არის უმთავრესი ლაიტ-მოტივი ექსპრესიონისტურ დრამების.

ხოლო მისი ფონია ორმოცდაერთ გრადუსიანი კაპიტალიზმი, თავის ასფალტის ქალაქეებით, მუდამ გაღებულ საპყრობილეებით—ბანკებით, ქარხნების საყვირების სირენებით, ამ ფონის აპოეთეოზია: ევროპიული ბირჟა, რომელიც ისეთივე საზიზღარს პანორამას იძლევა, როგორც ანტიური მონების ბაზარი.

ევროპიული თეატრის კრიზისი წარმოშობილია ევროპიული ლიტერატურის კრიზისის ნიადაგზე. ექსპრესიონიზმიც ამავე ფაქტორის პირმშოა; მოდის ახალი, ხანჯლებით მოლაპარაკე თაობა, რომელიც თავისი დინამიკით შტურმისა და დრანგის ახალთაობას მოგვაგონებს. როცა ეს თაობა საბოლოოდ გაარღვევს ევროპიული კრიზისის ფრონტს, დაძლეული იქნება თეატრის შინაგანი კრიზისიც.

VI ქართული თეატრი.

ქართული თეატრის ბედი მჭიდროდ დაკავშირებულია ქართული კულტურის სვეესთან. ჩვენმა მტრებმა იგი ტროიანელი ცხენივით შემოგვაპარეს. უნდათ ქართველებს თეატრი? უნდათ მათ ლიტერატურა? მიეცით მათ ორივე, მხოლოდ რუსული სულით.—ამბობდა თავის დროზე საქართველოს ჯალათი და რუსიფიკატორი რტიშჩევი. მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ნაციონალურ რეპერტუართან ერთად რუსული პიესები იდგმებოდა ქართულ სცენაზე.

როგორც მრავალი სხვა დარგი ჩვენი კულტურისა, თეატრიც შემთხვევით ხასიათს ატარებდა; ჩვენ მოგვცა ამ თეატრმა მთელი რიგი მაღალ ნიჭიერ არტისტებისა, მაგრამ თანამედროვე გაგების თეატრი ჩვენ დღემდის არა გვქონია. ჩვენი ინტელიგენციის თვალში თეატრი მხოლოდ და მხოლოდ ნაციონალური პროპაგანდის ტრიბუნა იყო. არც თეატრის მესვეურები, არც საზოგადოებრივი აზრი, არც კრიტიკა ამის მეტს არას მოითხოვდა ქართული თეატრიდან, მოკლედ: თეატრსაც ისევე, როგორც ლიტერატურას, ეროვნული პოლიტიკის საზომით უყურებდენ ჩვენში.

ქართულ თეატრს არა ჰქონია თავისი ესთეტიური კურსი, ქართულ თეატრს არა ჰქონია თავისი ძიების გზა ქართულ თეატრს დღესაც არა აქვს ათეული წლებით განწმენდილი ტრადიცია...

შემთხვევით არჩევდნენ რეპეტუარს, შემთხვევით ადგენდნენ დასებს, შემთხვევით თუ ვინმე მოექცეოდა ამ თეატრის სათავეში და საკუთარი პასუხისმგებლობით მიჰყავდა მას ჩვენი თეატრის უიალქანო გემი. ქართული თეატრის ისტორიის დაწერა რომ მოინდომოს ვინმემ, მეეჭვება რომ ამას ვინმე შესძლებს, რადგან ყველაფერი ჩვეულებრივი ქართული დაუდევრობით კეთდება. ამ თეატრს დღემდის არა აქვს არქივი, არც სარეჟისორო გეგმები, და სხვა.

ქართულ თეატრს ჰყავდა რამოდენიმე თავდადებული არტისტი, ხოლო ქართული საქმისადმი თავის შეწირვა დღემდის ავანტიურად ითვლებოდა. მაგრამ დასი ქართულ თეატრს არა ჰყოლია.

კიდევ ორი ელემენტი აკლდა ქართულ თეატრს: დრამატურგია და თეატრალური საზოგადოება.

ქართველ მწერლებში ერთად ერთი ივანე მაჩაბელია, რომელმაც ფუნდამენტი ჩაუყარა ქართულ თეატრს. მან სამარადისო ძეგლი აუგო ქართულ მელპომენზე შექსპირს.

დანარჩენი ქართველი მწერლების რეპერტუარი შემთხვევით დაწერილ სცენებისა და პიესებისაგან შესდგება. ეს პიესები დაწერილია უმეტესად, როგორც ლიტერატურული ძეგლები დიალოგიური ფორმით... მათი გამძლეობა ლოკალურ-დროულ ინტერესის ფარგლებს არ გასცილებია; ამიტომაც ყველა დღემდის არსებულ თეატრალურ სეზონებს ეფემერიული ხასიათი ჰქონდა... ამ რეპერტუარებში არეული იყო ერთი მეორეში ტრაგედია, კომედია, ვოდევილი შექსპირი, ერისთავი, ანტონოვი; არასოდეს არ ყოფილა ჩვენ სცენაზე კონსექვენტურად დაცული რომელიმე სტილი, რომელიმე მანერა, რომელიმე ჟანრი. ეს იყო მუდამ ესთეტიური დომხალი.

ქართული თეატრალური საზოგადოება? რიგიან გაწვრთნილი თეატრალური საზოგადოება ისე-

ამხ. ალშიბაია, მდივნად ამხ. ბ. ბარამია. კრების თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა რა განსვენებულ ამხანაგების საჯაიას და სარიას ხსოვნას, გადავიდა მორიგ საკითხებზე. დღის წეს-რიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. მომენტი და ჩვენი პოლიტიკა, 2. მოხსენება-ანგარიში სამაზრო კომიტეტის მუშაობის შესაგებ, 3. მოხსენებები ადგილებიდან და 4. მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. მიხა კაკულია. იგი ფართედ აშუქებს რა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობას და სოც.-ფედ. პარტიის არსებობას და მსოფლმხედველობას, ამბობს, რომ სოციალისტ—ფედერალისტისთვის არ უნდა დასმულიყო საკითხი: რევოლიუციასთან თუ მის წინააღმდეგ? ის უყოყმანოდ უნდა დამდგარიყო რევოლიუციის სადარაჯოზე. სხვა გზა მისთვის მიუღებელი უნდა ყოფილიყო, ამიტომ გზა არჩეული მემარცხენე სოც.-ფედერ. მიერ არის სწორი. ეს არის ის გზა, რომელზედაც მიგვითითებდა პარტიის მამამთავარი ა. ჯორჯაძე.

მოხსენების გარშემო მრავალი შეკითხვებისა და სათანადო პასუხის მიღების შემდეგ, კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „კრება სდგას რა მტკიცედ სოც.-ფედერ. პარტიის 1 კონფერენც. (1904 წ.) მიერ მიღებულ პლატფორმა-პრაგრამაზე, რომელიც კვლავ დადასტურებული იქნა მემ.-სოც.-ფედერ. პირველ ყრილობაზე 1921 წ. და მთავარი კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე. ამასთან ითვალისწინებს რა მომენტის შეფასებაში იმპერიალისტების კიდევ ერთხელ ცდას კერზონის მეთაურობით საბჭ. სოციალ. რესპუბლიკების ფედერაციის დამხობის საქმეში, რომ არსებითად ასეთ ცდებში მემ.-სოც.-ფედერ. პარტია ხედავს ბრძოლას რეაქციისა და რევოლიუციის შორის, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამხობა არის რევოლიუციის მონაპოვართა გაქარწყლება და მსოფლიო რეაქციის ზეიმი საერთოდ, კერძოთ საქართველოს ეროვნული თავისუფლების და მშრომელი ხალხის ინტერესების ჩაკვლა-განადგურება, კრება დღეს უფრო, ვინემ ოდესმე, დარწმუნებულია იმაში, რომ მხოლოდ მემარცხენე სოც.-ფედერ. არიან ნამდვილი მესვეურნი სოციალიზმი-ფედერალიზმისა თანახმად პარტიის ძირითად პრინციპებისა და პროგრამისა. კრება უძღვნის რა სალამს მთავარ კომიტეტს, საქართველოს ცენტრალური აღმასკომის და ტფილისის საბჭოს მემ.-სოც.-ფედ. ფრაქციებს, მოუწოდებენ ამხანაგებს შეამჭიდროვონ თავიანთი რიგები და პირველ დაძახილზე მზათ იყვნენ გამოვიდნენ რევოლიუციის სადარაჯოზე წითელი სამშობლოს და ს. ს. რესპუბლიკების ფედერაციის იმპერიალისტებზე გამარჯვების საქმეში თვისი რეფოლიუციონური-სოციალისტური წვლილის შესატანადაც“.

შემდეგ სამაზრო კომიტეტმა და ადგილებიდან მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ პარტმუშაობა წარმოებდა სუსტად, მაგრამ ლტოლვა პარტიისაკენ მაინც თვალსაჩინოა განსაკუთრებით ამ ბოლო ხანებში და პარტმუშაობაც ცხოველდება, როგორც ცენტრში, ისე სოფლებშიც. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„კრებამ მოისმინა რა მოხსენება-ანგარიში ამხ. ს. ელიავასი სამაზრო კომიტეტის მუშაობის შესახებ და ღებულობს რა მხედველობაში იმ მძიმე პირობებს, რომელშიდაც უხდებოდა კომიტეტს მუშაობა, სცნობს კომიტეტის მუშაობას დამაკმაყოფილებლად და უცხადებს მას ნდობას და მადლობას“.

მიმდინარე საკითხებში კრება შეეხო საორგანიზაციო და პარტმუშაობის გაცხოველების საკითხებს და გამოიმუშავა სათანადო ზომები.

დამსწრე.

——

პარასკევს, ივლისის 20-ს, საღ. 7 საათზე მემარცხ. სოც.-ფედ. პარტიის ცენტრალურ კლუბში შესდგა ამავე პარტიის ქალთა კრება, რომლის მიზანი იყო ქალთა ორგანიზაციის დაარსება. კრებამ თავმჯდომარედ აირჩია ამხ. საშა ჩხენკელის ასული, მდივნად ნინო უჯმაჯურიძე. კრებას სიტყვით მიმართა მთ. კომიტეტის წევრმა ამხ. პ. ჭანიშვილმა, რომელმაც გააცნო მათ ამ ორგანიზაციის მთავარი მიზანი და დანიშნულება. აგრეთვე შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა საშა ჩხენკელის ასულმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა ქალთა საერთო მდგომარეობა თანამედროვე წესწყობილებაში და მისი დეფექტები.

კრებამ აირჩია კომიტეტი, რომელიც შეიმუშავებს ორგანიზაციის მუშაობის გეგმას.

კომიტეტში შედიან: ამხ. საშა ჩხენკელი, ნ. უჯმაჯურიძე, ნ. ჭანიშვილი. კანდიდატებად თ. წერეთლისა და ეკ. ჭილაძე.

სამაცადინო დღედ დანიშნული იქმნა სამშაბათი, საღ. 7 საათი.

კრება დაიხურა საღ. 9 საათზე. დასასრულ შესდგა კომიტეტის სხდომა.

მდივანი **ნ. უჯმაჯურიძე.**

პროფესიონალური ორგანიზაციები და „ხოზიაისტვენნიკები“.

მუშათა კლასის ძლიერება მის მტკიცე შეკავშირებაში გამოიხატება. ერთი იდეით და აზრით გამსჭვალული პიროვნებებისათვის არის შესაძლებელი ერთსულოვანი მოქმედება, და ბუნებრივია, რომ ყველა საღათ მოაზროვნე სოციალისტი მუშათა დარაზმვას პროფესიონალურ ორგანიზაციებში დიდ მნიშვნელობას აძლევს.

ყველა მუშა ერთნაირად მომზადებული და შეგნებული არ არის. კარგად მომზადებული მუშები განამტკიცებენ პროფესიონალური კავშირების რიგებს, ასწევენ მის ავტორიტეტს და ნაკლებ მომზადებულ მუშებს ითრევს და მუშაობის ფერხულში აბამს ეს მტკიცე ორგანიზაციები.

ამ შეკავშირებაში ბურჟუაზია უდიდეს საფრთხეს ხედავს და პროფესიონალური რიგების განმტკიცებას ყოველ მხრივ ხელს უშლის.

თუ ლოღიკას გავყვებით ყველაზედ უფრო კარგი ნიადაგი პროფესიონალური ორგანიზაციების განმტკიცებისა რუსეთის ფედერაციაში და კერძოთ კი საქართველოში უნდა იყოს. აქ ბურჟუაზია სუსტია, სათავეში სოციალისტური მთავრობაა.

რუსეთზე ვერაფერს ვიტყვი და საქართველოში კი, სამწუხაროდ უნდა აღვნიშნო, რომ პროფორგანიზაციები ძლიერ მოისუსტებენ. დავასახელოთ ჯერ ფაქტები. საქართველოში სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო დიდ სამრეწველო და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ერთეულად ითვლება.

მის ხელშია უმთავრესი მრეწველობა და ის იკრებს თავის გარშემო აუარებელ მუშა-მოსამსახურეს. ამ დიდი დაწესებულების პრეზიდიუმს 1923 წელს 1 იანვრიდან ჰქონდა დადებული ხელშეკრულება წყალ-შენის მუშა-მოსამსახურეებთან და ვალდებულათ რაცხდა თავის თავს ყოველ ორ კვირაში გაესწორებინა მუშებისათვის ხელფასის ფული. იმავე კოლექტიური ხელშეკრულების ძალით იმ მუშა-მოსამსახურეს, რომელიც შვებულებით ვერ ისარგებლებდა მთელი წლის განმავლობაში, ეძლეოდა ერთი თვის ჯამაგირი საკომპენსაციოდ. პირველი თებერვლიდან (1923 წ.) წყალ-შენი გადავიდა ამიერ კავკ. წყალთა მეურნეობაში. კოლექტიური ხელშეკრულების ძალით და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად—პირველ თებერვლამდე ანგარიში უნდა გაესწორებია В. С. Н. Х.-ას. გადის მთელი შვიდი თვე და წყალ-შენის მოსამსახურეებს ხელფასი ვერ მიუღიათ. სახალხო მეურნეობის უმ. საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს „ხან ფული არ აქვს“ და ხან არ ეკუთვნის მისი გადახდა.

საკითხი ძალიან ნათელი და გარკვეულია. აქ ხელფასის დაგვიანება არ არის, ჩვენ საქმე გვაქვს კანონის დარღვევასთან და მუშათა მოტყუებასთან-რომ დასმულ საკითხს არ ავსცდეთ არაფერს ვიტყვით ამხ. ავაქოვის უტაქტო მოქმედებაზე.

არ შევჩერდებით არც იმაზე, რომ ამხ. ავაქოვთან დაახლოვებული დიდი კვალიფიკაციის ინჟენრები ახერხებენ ხელფასის მიღებას და უმცროსი მოსამსახურეები, როგორიცაა დარაჯი, ვერ ეღირსენ ამ ბედნიერებას.

მუშათა ინტერესების დაცვა ხომ ისევ მუშათა საქმეა და როცა საქმე გვაქვს კონკრეტიულ შემოხვევასთან, როცა ვხედავთ ამ მუშების ინტერესების ფეხ ქვეშ გაოელვას—ვიკითხოთ: რას აკეთებენ პროფესიონალური ორგანიზაციები? მოქმედებენ თუ არა, ან რა მიზანს აღწევენ? ადგილობრივი კომიტეტი ასაჩივრებს ამ საკითს, კავშირში, კავშირს გადააქვს საქმე საქ. შრომის კომისარიატთან არსებულ შემარიგებელ კამერაში. შემარიგებელი კამერის დადგენილებით, რომელსაც ხელს აწერს სახ. მეურნ. უმაღლ. საბჭოს წევრი ამხ. ელბაქიძე, (დადგ. 14 თებერვ. № 6) სახ. მეურნ. უმ. საბჭო ვალდებულია მუშა-მოსამსახურეებს გაუსწოროს ანგარიში 20 თებერვლამდე. დადგენილება არ არის სისრულეში მოყვანილი. 20 მარტს ამიერ-კავკ. შრომის კომისარიატი სწერს საქართველოს რუმუნებულს:

„ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის ადგილ-კომმა მოგვმართა განცხადებით, საქ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ 14 თებერვალს მემარიგებელ კამერის დადგენილების დარღვევის გამო, რომლის ძალით უმ. სამეურნეო საბჭო ვალდებულათ რაცხდა თავს მიეცა განსაზღვრულ დროში წყალშენის მუშა-მოსამსახურეთათვის ხელფასი.“

„ვინაიდან სას. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს არ უნებებია მისცეს ხელფასი თავის ყოფილ მოსამსახურეებს, დეკემბრის, იანვრის და 1922 წლის საკომპენსაციო ფული, დაარღვია რა ორივე მხარის მიერ შეთანხმებით გამოტანილი დადგენილება და უხეშად არღვევს რა შრომის კანონებს, ამცირებს რა შრომის კომისარიატის ავტორიტეტს, ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატი გთხოვს მიიღოთ გადამწყვეტი ზომები, რომ აიძულო საქ. სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭო მისცეს მოსამსახურეებს კუთვნილი ჯამაგირი, თუნდაც რომელიმე წარმოების ქონების გაყიდვით.

შედეგი გვაცნობეთ: ეს მოწერილობა შეუმოკლებლივ მოვიყვანე; ის ბევრის მთქმელია...

ნურაფერს ვიტვით საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის საქციელზედ. ერთი წუთით, თვეობით მუშა-მოსამსახურეთა ინტერესების აბუჩათ აგდებასაც შეურიგდეთ საბჭოთა წყობილებაში, და ვიკითხოთ: რა ძალა აქვს პროფესიონალურ ორგანიზაციებს, რათ ვერ მოჰყავს სისრულეში შრომის კომისარიატს თავისი დადგენილება? როგორ გავლენას ახდენს მუშათა წრეებში „მაგარი“ სიტყვა და რბილი საქმე?

ცხადია არა სასურველ შედეგებს ვღებულობთ.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის ფრთებს ქვეშ ორგვარი წარმოება პოულობს თავშესაფარს—კერძო და სახელმწიფოებრივი. ერთი კავშირის მუშათა ნაწილი სახელმწიფოებრივ წარმოებაშია ჩაბმული, მეორე ნაწილი კი კერძოში. ამ ორი ნაწილის ბედი ერთი და იგივე არ არის. კერძო მწარმოებელს ალმაცერათ უყურებს სახელმწიფო, ყოველივე ორგანო თამამათ შეუბღვერს კერძო მწარმოებელს. კერძო მწარმოებელთან მუშათა კლასის ინტერესების დაცვა არ არის.

თავის ბატონობის დროს მუშათა კლასი ძალით დაიკმაყოფილებს იმ კანონიერ მუშურ მოთხოვნილებებს, რის დაკმაყოფილებასაც ნებით არ ისურვებს კერძო დამქირავებელი. საბჭოთა საქართველოში ასეც ხდება. თუ შრომის კომისარიატმა კონფლიქტი მუშა-მოსამსახურის სასარგებლოთ გადასწყვიტა მის სისრულეში მოყვანას არაფერი არ აღუდგება წინ. სრულიათ სხვა სურათს და სხვა შედეგს ვღებულობთ, როცა კანონიერი მუშური მო-

---

თივე მიუცილებელი ელემენტია, როგორც მსახიობების კადრი და დრამატურგია.. ამ საზოგადოებამ დღემდისაც არ იცის თეატრში თავის დაჭერა; ეს იმის მომასწავებელია, რომ ეს საზოგადოება თეატრს არ უყურებს, როგორც წმინდა ადგილს. მან ამ მხრით ბევრი უნდა ისწავლოს ძველი ბერძნებისაგან, რომელნიც სათნოებით სავსე გულით მიდიოდნენ თეატრში.

გასულ სეზონში არა ერთხელ შემოუჩივლიათ ჩემთვის უცხოელ სტუმრებს, რომელნიც უბრალო ცნობისმოყვარეობას შეუყვანია რუსთაველის თეატრში.

ქართველობას ნაციონალურ მასშტაბში აკლია დისციპლინა.

თეატრი ისევე მოითხოვს დისციპლინას როგორც ბრძოლის ველი, როგორც ომი. ქართველი საზოგადოების უდისციპლინობა ყველაზე ადრე ქართულ თეატრში შეგიძლიათ ნახოთ.

ამ მხრით საყვედური ეთქმის რუსთაველის თეატრის ადმინისტრაციას. წარმოდგენის დროს ფოიეებში ხმაურობა, შიგ დარბაზში რეპლიკებს აძლევენ მსახიობებს.

გასულ სეზონში ყველას ეგონა, რომ ქართული თეატრი წაიქცეოდა. საქართველო ჯერაც აღმოსავლეთია, ჯერაც აზიაა, აზიაში საგნები გასაოცარ გამძლეობას იჩენენ.

ყოველ კაცს უნახავს ალბად ტფილისის განაპირა უბანში ძველთა-ძველი, ფუნდამენტ გამოჭმული სახლი, მაღალ ოჩოფეხებზე შემდგარი, საძირკველი დაშავებულია, კედლებიდან ნალესი ჩამოცვენილი, კიბეები ჩანგრეული, სახურავიდან აწვიმს, აივანი მოტეხილი ბატის ფრთასავით ჰკიდია.

ევროპაში ქალაქის მუნიციპალიტეტი 24 საათში ააღებიებდა ასეთ სახლს, მოსალოდნელი უბედურების თავიდან ასაცდენად.

ტფილისში წლიდან წლამდის თქვენ გვერდს უვლით ამ სახლს, ზამთარ ზაფხულ ქარი უბერავს მას და სახლი სდგას არხეინად, პატრონი და მობინადრე უდარდელად ცხოვრობენ შიგ და არავის არ ეშინია, რომ ეს სახლი წაიქცევა. განა მარტო სახლი? ასეთ ყოფაშია აზიაში ხშირად მთელი სახელმწიფო, სკოლა, ეკლესია. თეატრი ან სხვა რომელიმე კულტურული დაწესებულება.

ასეთ ყოფაში იყო ქართული თეატრი ჯერ კიდევ გასულ სეზონის დასაწყისში. გულწრფელად ვაღიარებ: როცა შარშან თეატრის შესახებ გამართულ თათბირიდან გამოვედი, მე ყოველნაირი იმედი დაწურული მქონდა.

ქართველი ხალხი მუდამ რაღაც სასწაულის იმედით ცხოვრობს, შეიძლება ეს ჩვენი დაღუპვის მიზეზი შეიქმნეს მომავალში, მაგრამ ისიც შეიძლება ამ იმედმა გადაგვარჩინოს ჩვენ უდიდესს კრიზისებს. ყველამ აღიარა ამ თათბირზე, რომ კოტე მარჯანიშვილი იქნებოდა ის კაცი, რომელიც ქართულ თეატრის კაპიტანობას გასწევდა.

მარჯანიშვილს ქართველი საზოგადოება დიდის აღტაცებით შეხვდა. მხოლოდ მცირე ნაწილი ჩვენი ინტელიგენციისა, სუმბათაშვილის მაგალითით დაშინებული სკეპტიკურად შეხვდა მარჯანიშვილს; მე არ ვმალავ, რომ მეც ამ სკეპტიკოსების ბანაკს ვეკუთვნოდი, რადგან ჩამოსვლის უმალ მარჯანიშვილმა რუსულ თეატრში დაიწყო მუშაობა. მე კარგად ვიცოდი, რომ დიდი ოსტატის ხელი ამ თეატრს გაამაგრებდა და ისედაც წაქცევაზე მიმდგარი ქართული თეატრი მთლად დაიღუპებოდა... სხვა მოსაზრება არავის ჰქონია; მე პირადად საზოგადოებრივ საკითხებში არასოდეს პირადი სიმპატია-ანტიპატიით არ ვხელმძღვანელობ, რადგანაც ერთი რამ ურყევად მრწამს: მწერალი ისე უნდა იზოგავდეს მელანს, როგორც საკუთარ გულის სისხლს.

გასულმა სეზონმა გამოაცოცხლა ქართული თეატრი.

მე გავეცოდი, როცა კ. მარჯანიშვილმა „მზის დაბნელების“ აფიშები გამოუშვა.

როგორც პიესა, „მზის დაბნელება“ ყოველივე კრიტიკის გარეშეა.

„მზის დაბნელება“ საყურადღებოა, როგორც „რეჟისორის ცრემლები“. მარჯანიშვილი აქ ძლიერ დიპლომატიურად მოიქცა: ერთის მხრით მას უნდოდა ჩვენთვის ეჩვენებია, რომ დიდი რეჟისორი ხშირად არარაობისაგანაც რაღაცას ჰქმნის.

მეორე ხელით მან სილა გააწნა გუშინდელ საქართველოს.

სამჯერ დავესწარი ამ პიესას და სამჯერვე მძიმე შთაბეჭდილება გამომყვა. „რეჟისორის ცრემლები“!

ეს იყო გუშინდელი საქართველო. შვიდკეცი ჰიბრიდა... ალრევა ენების, ზნეჩვეულებების, სისხლის, სარწმუნოების ნამდვილი ალრევა. აღმოსავლეთი. ქაოსი, უდაბნო. ჩვენი შავბნელი ფერადებით შემუქებული გუშინ, ჩვენი უსასოო „დღეს“ და, ვინ იცის, ეგებ „ხვალეც“.

აბა რა გეგონა, ჩემო კარგო! აი შენი საქართველო 30 წლის წინად!—მომახალა ერთმა მეგობარმა. მარჯანიშვილის მიერ დახატული „არეული საქართველო“ თამამად ამოუდგება გვერდში თათქარიძეების გაპარტახებულ საქართველოს.

განა ეს მხოლოდ გუშინდელი სურათია, განა თანამედროვე ქართველობას თავი დაღწეული აქვს ამ საშინელ სტილის ალრევისათვის.

განა ეს ჰიბრიდა, ეს ქაოსი, ეს უმეცრება კიდევ არა დგას თავის ტახტზე ცალი ფეხით მაინც? განა ქართველობის სულში არ ბუდობს ჯერ კიდევ ეს ჰიბრიდა და ეს ქაოსი? მაგრამ ჩვენ არ გვინდა ქაოსი სცენაზე ავიტანოთ.

ქაოსს თავისი ადგილი აქვს მიჩნეული სცენაზე ჩვენ გვინდა უფრო მეტი, ვიდრე სინამდვილე, კრისტალური სახეები, მეტი ნათელი გვინდა ვნახოთ ჩვენ სცენაზე და ლიტერატურაში. რადგან თვალი ისედაც დაღალულია ამ ქაოტიურ სინამდვილისაგან.

მარჯანიშვილმა აქ ნესტარი დაჰკრა ყველაზე მტკიცნეულ ადგილს ქართული გულის იარიასას; რუსის მოხელის მონოკლი და ქუჩის მაწანწალის გროტესკული ოჩოფეხები, უნღილი და ნახევრად განსწავლული ოფიცერი და ტფილისის მოქალაქის ოჯახის გაუგონარი უმეცრება. აქ ირევიან აღმოსავლეთის და დასავლეთის გროტესკული ნიღაბები.

არც „ფუენტე ოვეხუნა“ იყო ამ მხრით თანამედროვე თეატრის რეპერტუარიდან არჩეული... მართალია პიესა თავის დროის მიხედვით ოსტატურადაა დაწერილი, მაგრამ თვით კვანძი ამ პიესისა სრულიად უმნიშვნელოა. დღეს ვის ააღელვებს ის გარემოება, რომ ვიღაც ისპანიელმა კომანდორმა ისპანელივე ქალი გააუპატივრა? დღეს რურის ოლქში ათასობით ხდიან ნამუსს შავკანიანები გერმანელ ქალებს, მაგრამ განათლებულ კაცობრიობას ეს აინუნშიაც არ შოსდის, რადგან ჩვენი საუკუნის ნერვებს ასეთი პატარა საშინელებებით ვერავინ ააღელვებს.

გვიჩვენეთ სცენაზე უფრო მეტი სინამდვილე, ვიდრე რეალობა, გვიჩვენეთ სცენაზე უფრო მეტი საშინელება, ვიდრე სინამდვილეში.

მარჯანიშვილი მოდერნიზაციის ლოზუნგით ავიდა ქართული სცენის ესტრადაზე, ამ მხრით მხოლოდ ლონდაში შეეცადა იგი ეჩვენებია ამ მოდერნიზაციის ერთი ეპიზოდი. ქართულ თეატრს მომავალში გამორკვეული კურსი სჭირია. იგი დღემდის უალრესი ეკლექტიციზმის განსახიერება იყო.

საჭიროა ქართულმა თეატრმა ამ ეკლექტიციზმს დაახწიოს თავი.

ჩვენი ისტორიული ტრაგედიის შედეგები დღესაც განაგრძობენ თავის მომაკვდინებელ ზედგავლენას...

ეს იყო ორმაგობა, ორსულობა. ქართული სული მუდამ გზა ჯვარედინზე—ეს არის საბედისწერო ეპიგრამი ქართული კულტურის წარსულზე.

ჩვენი სოციალ პოლიტიკური ყოფის უმთავრესი ატრიბუტები სახელმწიფო და ეკლესია თავისი ფორმით, თითქოს დასავლეთური აღნაგობისა იყო, მაგრამ არ იქნა და ვერ მოხდა კრისტალიზაცია ქართული სულისა. ყოველი მხრიდან მოზღვავებული ბალასტი ქართულ სულში ილეკებოდა და არასოდეს გამოჩენილა ქართული ისტორიის მანძილზე კაცი, რომელსაც ან პოლიტიკაში, ან რელიგიაში ერთი ურყევი სწორი გეზი აეღო—ან ღმერთისკენ ან მამონისკენ პირი ექნა და ეს ბალასტი გადაეწმინდა. ჩვენ მუდამ მარიონეტებივით ვქანაობდით ექსტრემებსა და ექსტრემებს შორის.

ვინა სთქვა საქართველო აღმოსავლეთისა და დასავლეთის სინტეზი იქნესო? განა შეიძლება ცეცხლისა და წყლის, ნირვანასა და აქტივიზმის, ქაოსისა და კრისტალების, დასავლეთის და აღმოსავლეთის სინტეზი? ეს სინტეტიური მისწრაფება მუდამ გროტესკულ კარიკატურებად იქცეოდა ჩვენს ისტორიულ ყოფაში.

მე ბავშობიდან ვუყურებ საქართველოს მეფის ირაკლი მეორის სურათს და დღემდის გაუგებარია ჩემთვის ამ დიდი პიროვნების გაორებული სახეობა. თავზე სპარსული ჩალმა და მკერდზე ანნას ორდენი—ჯვარი—და ეს ყოვლად ქრისტიანე მეფე თავის საგვარეულო ღერბზე აწერდა:

„მე ფეხგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე“. ასეთი ორსულიანი და ორენიანი ტიპები, ასეთი ჰიბრიდული სახეები გვხვდება ჩვენ ირაკლის დღეებიდან არჩილ ჯორჯაძემდის.

დღეს საქართველოს უახლესმა თაობამ უნდა გადაისროლოს პაროლი **„რენესანსი ქართული სულისა“**, მაგრამ რენესანსი არა, მრუდე გზებით. არა ორნაირ ზეცის ჰიბრიდულ მნათობებს აყოლილი სულისა, არამედ ახალ გზებით და ახალი ძიების ტანჯვაში გამობრმძენდილი სულის რენესანსი.

ქართული თეატრიცა და ქართული ლიტერატურაც ამიერიდან ამ რენესანსის მაღალი ტრიბუნა უნდა იქნეს. ძველი ფორმულა შემოვაბრუნოთ:

Ex occidentis lux.

კონსტანტინე გამსახურდია

სატახტო ქალაქი.
1923 წ. ივნისი.

თხოვნილებებით წარსდგება მუშა სახელმწიფო დაწესებულების წინაშე. დავა წყალშენის მუშა-მოსამსახურეთა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან ამ განსხვავების ნათელ სურათს იძლევა. აშკარაა, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო რომ კერძო დაწესებულება ყოფილიყო, წყალშენის მოსამსახურეებს მიღებული ექნებოდათ კუთვნილი ჯამაგირი ძალიან შორს რომ არ წავიდეთ შრომის კომისარიატთან არსებულ შემარიგებელ კამერას მაინც არ გასცილდებოდა ეს საკითხი. ამ შემთხვევაში კი ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატის საქმეში ჩარევა იმ წერილითაც კი, სადაც თუნდაც რომელიმე წარმოების ქონების გაყიდვით, ძოითხოვს მოსამსახურეთა დაკმაყოფილებას, ვერავითარ შედეგს ვერ აღწევს.

ს. ჭეიშვილი.

(გაგრძელება იქნება)

ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲬᲘᲚᲐᲨᲘ

სოფელი საგვაზავო. (სენაკის მაზრა, აბაშის რაიონი).

კვირა დღეა. გამუდმებული წვიმების შემდეგ საუცხოვო დარი დადგა.

დილიდანვე კოოპერატივ „ქვეყნის თვალის“ ეზოში ხალხი ბლომად მოგროვილა. ჯგუფ-ჯგუფად აქა იქ სხედან შრომის შვილნი და გაცხარებულ სჯა-ბაასში არიან.

ერთი ღრმად მოხუცი მიუახლოვდა ერთ ჯგუფს, სადაც ბლომად იყვნენ მისებრ მოხუცებულნი და ჩაჯდა მათ შორის.

— გამარჯობა თქვენი! მიესალმა მათ მოხუცი.

— ღმერმა გაგიმარჯოს! მიუგეს პასუხად.

— ეჰ! შვილებო და ძმებო! თავის ქნევით დაიწყო ახლად მოსულმა მოხუცმა: ღმერთს რომ ვახსენებდეთ, კარგად იქნება ჩვენი საქმე, ი. დალოცვილმა როგორც იყო გული მოიბრუნა ჩვენზე და წვიმა გვაღირსა, თორემ ორი თვის გვალვამ კინაღამ არ გადაწვა ნამუშევარი, დიდება მის მადლს, წრეულს კარგი მოსავალი იქნება. პირ-ჯვარი გადიწერა მოხუცმა.

— იქნება? რა მერე, დაიწყო ვიღაცამ, მე შენ გითხრა და გაყიდი სიმინდს და რამეს იყიდი, ეჰ! რა დროს მოვესწარით, გაგიგონიათ ხალხნო, რომ 3 ფუთი სიმინდით არ ყიდულთბდეთ 1 არშინ ნარმას?!..

— წინათ თუ გაყიდდი სამ ფუთ სიმინდს,— დაიწყო მესამემ,—10—12 არშინ ჩითს იყიდდი. დღეს კი არ ვიცი რაშია საქმე, ამ ვაჭრებმა თლათ სული ამოგვაძრეს.

ამ თემაზე დიდ ხანს გაგრძელდა საუბარი.-.

დადუმდა ხალხი. დადუმდა მოხუციც და სევდიან თვალებით აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა. ამ დროს გაიარა ერთმა პარტიულმა ამხანაგმა გზაზე ბოხუცმა მას თვალი გააყოლა და მწუხარებით თავი გაიქნია; აბა თუ რამე შეუძლიათ, დაიწყო ისევ მოხუცმა, აბა ერთი მათი ბრძანებით მოიყვანონ წვიმა ამ „კორძუსტებმა“ (კომუნისტებმა). ეჰ! რა დროს მოვესწარით. აგერ თითქმის წელიწადზე მეტია ეკლესიაში არ ვყოფილვარ და პირჯვარი არ გადამისახავს, „ღმერთო ნუ დამსჯი“ შეევედრა „უფალს“ მოხუცი.

ერთმა გლეხმა მძლავრად გააფურთხა განზე და ერთი შეუკურთხა ღმერთებს.

მოხუცის განცვიფრებას საზღვარი არ ქონდა მასთან ზოგი-ერთი მოხუცნიც შიშისგან პირდაღებულები გაოცებით შეჰყურებდნენ ათეისტს უკანასკნელმა ასე დაიწყო:

ღმერთი, ვინ არის იგი, რომელი ჯოჯოხეთის ქვაა? თუ ღმერთმა ჩვენ გაგვაჩინა—ვინ გააჩინა იგი ღმერთი „მბრძანებლად ამა ქვეყნად“ და თუ არის, რატომ ერთჯერ, მაინც არ გვიჩვენა სასწაული? არა ამხანაგებო! არ მოვსტყუვდეთ, ღმერთი არ არის, ჩვენი ღმერთია ჩვენი მარჯვენაა, ჩვენი ღმერთია ჩვენი სინდისი და პატიოსნება, სად არის ახლა ის მღვდელი, რომელიც ხანდისხან აქ დაიარება და ქადაგებს: „შვილებო გამხნევდით, დღეს თუ ხვალ წესწყობილება შეიცვლება, ნუ აყვებით ეშმაკებს, რამე თუ ძამა უფალს არასფერი დაემალება“, და სხვ.

სად არის ახლა ის მღვდელი, რომ წვერები დავაგლიჯო, არა მე ისინი არა მწამს... ღმერთები. ანგელოზები, წმინდა—მამები, ესენი იყვნენ ნიკოლოზ მეორეს ტახტის დამცველები და მისი „რეჟიმის“ საძირკვლის ჩამყრელები, და სხვა არასფერი, ამხანაგებო! ყველამ დავაკვირდეთ სინამდვილეს და ნუ ავყვებით ცრუ მორწმუნოებას, ვიწამოთ **წითელი სარწმუნოება,** რომელიც სიბრძნისაკენ, ღა სამართლიანობისაკენ მოგვიწოდებს და ნუ გავებმებით „კაპიტალისტების“ ქსელში.

დაჩუმდა—დაჩუმდნენ სხვებიც, ვინ იცის ამ დროს ვინ რას ფიქრობდა, ალბად ზოგიერთების აზრები შავი ზღვის სივრცეში დაეძებდა მომავალ გემს.. მხოლოდ ის პირველი მოხუცი კი ღრმად ჩაფიქრებული, სასოწარკვეთილებით შეპყრობილი, დიდ ხანს ქანდაკებისავით გარინდებული შეყურებდა მოსაუბრეს. მერე ადგა იგი მოხუცი, უიმედოთ ხელი ჩაიქნია და დინჯის ნაბიჯით შინისკენ გასწია.

შემდეგ საგანი მათი საუბრისა შესცვალა ერთმა ახალგაზრდამ, რომელიც ამ დილას ჩამოსულ იყო ქალაქიდან, მას ირგვლივ შემოეხვია ხალხი და მიმართავდნენ მას სხვა და სხვა კითხვებით,

ერთმა ჰკითხა მას: მართალია თუ არა ხმები, ვითომც ყველა დაწესებულებებში ქართულად იქნება საქმების წარმოებაო!? ახლად ჩამოსულმა მიუგო: მართალია, საქართველოს ტერიტორიაზე ყველა დაწესებულებებში ქართულად იქნება საქმეების წარმოება, მე თუმცა არ ვიცი დანამდვილებით, მაგრამ თუ ყველგან არ არის ახლა-აუცილებლად იქნება სულ მოკლე ხანში; ყველა თქვენთაგანს შეუძლია თავისუფლად შევიდეს იქ სადაც მას მოესურვება და მიიღოს იქადან ჯეროვანი პასუხი.

დიდ ხანს ქონდათ ამ საგანზე საუბარი.

ბოლოს ერთმა მოხუცმა მიიქცია ყველასი ყურადღება. მან დაიწყო: ძველ დროში, „ძიგურში“ ჩვენს სოფელს ქონდა საკუთარი მიწა—ადგილი და ვსარგებლობდით მით. ერთ დღეს სრულიად მოულოდნელად მომრიგებელ მოსამართლისაგან მივიღეთ „პოვესტკა“ სადაც ოტია ბატონიშვილი გვიჩივიდა „ძიგურის“ მიწა ადგილებზე. დანიშნულ დროს ჩვენც წავედით სასამართლოში, დაიწყო საქმის გამოძიება, ყველა მოსამსახურეები რუსები იყვნენ, ჩვენ არც ერთმა რუსული არ ვიცოდით. იმ დღეს ვერაფერი გავაწყვეთ, საქმე გადადებულ იქმნა. ჩვენც შევუდექით მზადებას, მოვაგროვეთ დიდ ძალი ფული, მთელმა სოფელმა და დავიჭირეთ „ანტუკანტი“ ჩვენ სრული იმედი გვქონდა საქმის ჩვენს საკეთილდღეოდ დამთავრების, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა, თურმე იმ უღმერთო ოტია ბატონიშვილს ორჯერ მეტი ფული მიეცა ჩვენი „ანტუკანტისათვის“ ვიდრე ჩვენ მივეცით. ჩვენ რა ვიცოდით, თუ იგი ანტუკანტი რას უპარუსკებდა მათ და ამ რიგად დავრჩით პირში ჩალა გამოვლებულნი.

შუა დღემ მოატანა და ხალხმაც იწყო დაშლა. ერთმა სოფლის „მოინტელიგენტემ“ გაიარა გზაზე და „вздровствуйте товарищи“ უთხრა ხალხს, სამაგიეროდ გაგიმარჯოსო, უპასუხეს. ერთი გლეხი, რომელიც ყველაზე უფრო წინ მიდიოდა სთქვა: რა კარგი იქნება, რომ ქართველი ნასწავლი არ ყოყოჩობდეს ქართველ გლეხების წინაშეო.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ საგვაზავოს მშრომელი მასსა უკვე ადგას გამოფხიზლების გზას.

პლატონ ჯვარიშელი

ზუგდიდი. არა მგონია ჩვენს რესპუბლიკაში იყოს სხვა ვინმე ეკონომიურად ისე უმწეო, როგორც არის ზუგდიდის მაზრის ხელისუფლება. მას არ მოეპოვება თითქმის არავითარი შემოსავლის წყარო და სრულიად მოკლებულია ყოველგვარ საარსებო საშვალებას.

მაშინ, როდესაც ტერიტორიის სივრცით და მცხოვრებთა რაოდენობით (მაშასადამე—გასავლის მოთხოვნილებითაც) გაცილებით უფრო ნაკლებს—სენაკის მაზრას ათეულ მილიარდებს აძლევს რკინის გზის სადგური და იქაურ ხელისუფლებას შეუძლია ცენტრის დაუხმარებლად გახსნას 2 ნახ. თვიანი საზაფხულო კურსები „წითელ მასწავლებელთათვის, მოაწყოს მთელი მაზრის მოწაფეთა დელეგატების კონფერენცია, გამოსცეს საკუთარი გაზეთი და სხვა მრავალს ხალხის საკეთილდღეო დაწყებებს ჩაუყაროს საფუძველი, ზუგდიდის სამაზრო აღმასკომს არა აქვს საშვალება თვიური ჯამაგირები გაუსწოროს თავისი კანცელარიის მოსამსახურეებს.

ნურავინ იფიქრებს, რომ ეს ადგილობრივი ხელისუფლების უუნარიანობისა, ან გულგრილობის შედეგი იყოს! არის ზოგჯერ მოვლენა, რომელიც ყოველგვარ უნარსა და ძლიერებას აღემატება. და აი, სწორედ ადგილობრივი მთავრობა ასეთ გარდუვალ დაბრკოლებათა ჯადოსნულ წრეში იმყოფება. და თუ დღემდე მოიტანა თვისი არსებობა, დაწესებულებები არ დაიშალა და ცოტა რამ სამერმისოც გაკეთდა ან კულტურულს, ან ეკონომიურს დარგში,—ეს სწორედ ამ ხელისუფლების სათავეში მყოფთა უნარით და თავგანწირული მეცადინეობით ახსნება.

უკვე ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ამგვარად არსებობას, როცა „სული კბილით გვიჭირავს“, როცა ვერავითარ საწიხაო ამშენებლობით მუშაობას ვერ აწარმოებ,—უარსებობა სჯობიან.

ცხადია, რომ ადრე, თუ გვიან ბოლო უნდა მოღებოდა ამ „სულთმობრძაობას“. და, აი მართლაც სრულიად ბუნებრივად და ლოგიკურად დადგა ადგილობრივ მთავრობის წინაშე საკითხი—ან ყოფნა, ან არ ყოფნისა!

რა თქმა უნდა, ვიდრე იგი გადასწყვეტდა საბოლოოდ ჯვარი დაესვა თავის არსებობისათვის, ჯერ შეეცადა გამოეძებნა, ან შეექმნა რაიმე საარსებო წყარო. ამ მხრით ერთად-ერთი იმედი და ყურადღება იყო დამყარებული იმ სპირტის სახდელ ქარხანაზე, რომელიც ვინმე პროცერის—მიერ არის გამართული ამავე მაზრის სოფელ აბასთუმანში და ამ უკანასკნელ ხანებში სავაჭრო ტრესტის ხელში იყო.

ხანგრძლივი და დაჟინებული მეცადინეობის შემდეგ ადგილობრივმა მთავრობამ დიდი ხნის ნანატრ მიზანს მიახწია და ამ ორი თვის უკან, ხსენებული ქარხანა ზუგდიდის მაზრის აღმასკომის განკარგულებაში გადმოვიდა.

საერთო აღფრთოვანებას საზღვარი არა ჰქონდა. მაზრის მოჭირნახულეთა სულიერი განწყობილება მიაგავდა ჯანლონითა და სიცოცხლის წყურვილით სავსე ახალგაზრდის, რაიმე შემთხვევით სამარის კარამდე მისულის, მაგრამ უეცრად სამუდამოდ გამობრუნებულის განცდას.

გაჩაღდა აღფრთოვანებული მუშაობა ყოველ. დარგში. ფიცხლად შეუდგნენ სხვა და სხვა კულტურული, სამეურნეო, საგზაო, სარეწაო და სხვათა მომავალი მუშაობის გეგმების შედგენას.

შევყურებდი ამ გატაცებულს, ყმაწვილურ ფაცი-ფუცს, მინდოდა დამერწმუნებია ჩემი თავი, რომ მალე მთელი მაზრა გამოჯანსაღდება ეკონომიურად და მაშინ სწრაფი ნაბიჯით წავა წინ ყველა დარგითქო, მაგრამ რაღაც ეჭვი არ მასვენებდა, რაღაც არ მეჯერა ასეთი ბედნიერება მუდამ უბედურებას ჩვეული ზუგდიდის მაზრისთვის. და აი, აკი კიდეც გამართლდა ჩემი ეჭვი.

სავაჭრო ტრესტი, და თქმა უნდა, როგორც მდიდარი კომერციული დაწესებულება, კასაციის უმაღლეს სართულს აწვდა და იქ გაანაჩივრა საქმე.

ალბად აგრე იქნებოდა საჭირო (არ იცი—კი რატომ?!) უმაღლესმა ორგანომ ტრესტის [illegible] უფრო მაღლა ტრესტის [illegible] დასტოვა მაზრა ხსენებული ქარხანა [illegible] მონახევრედ.

რა გაეწყობა? ამისთვისაც ვმადლობთ, თორემ რომ ეს არა, ზუგდიდის აღმასკომმა ყველა თავის განზრახვებს, დაწესებულებებს და თვით საკუთარ არსებობასაც სამუდამოთ ჯვარი უნდა დაუსვას. ეხლა—კი—მართალია—მოქმედებას ვერ გააფართოვებს, მაგრამ შემოკლებულ შტატს მაინც შეინახავს დაწესებულებებში.

ოდიშელი.

ᲨᲔᲣᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲡᲐᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲝ

— „ამხანაგებო! რადგანაც თამადათ ამირჩიეთ, როგორც სუფრის თავმჯდომარემ ჩემი გემოვნების და შეგნების მიხედვით უნდა გაუძღვე ჩვენს პატარა ნადიმობას. ძველათ, როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრება და ურთიერთობა არ იყო დღევანდელი სახით განვითარებული, თამადას დანიშნულებაც სულ სხვა იყო. დღეს მეზობელს ცხვირი რო დააცემინოს, ხელად რედაქციას მიაშურებენ და თუ ფელეტონათ არა, კრონიკაში მაინც მოათავსებენ. უწინ კი ასეთ მხილების საშუალებათ თამადა და მისი სადღეგრძელოები იყო. მასპინძელი გადასცემდა სასმისს სუფრის თავმჯდომარეთ არჩეულ პირს და ყველა სტუმრების გასაგონათ ეტყოდა: „აბა, თამამად“, ეს იმას ნიშნავდა რო წარმოთქმულ სადღეგრძელოებში მას თამამად, გაბედულათ და მიუდგომლათ უნდა აღენიშნა დადებითი თუ უარყოფითი, საზოგადოებრივ თუ კერძო ცხოვრების მხარეები იმ პირის, რომლისკენაც მიმართული იქნებოდა სადღეგრძელო...

— „ივანე, ეი ივანე!..

— სსუ... ვიღაც იძახის მგონი!

და მასპინძელი გარეთ გამოვიდა.

— აქანეი იძახი ვინმე? მობრძანდი!

— ივანე! თემის თავმჯდომარე და მისი თანამშრომლები თქვენსას თუ არიან, უთხარი რო ოზურგეთიდან ამოვიდენ და თხოულობენ აღმასკომში.

— ვინაა ის ასე დაზეპირებულივით რო ლაპარაკობს ჭიშკართან?—შეეკითხა მასპინძელს თამადა.

— კაცო, ჩამობრძანდი ეზოში, აქ არიან ყველანი და სტუმარიც ჩამოვიდა. ის აღმოჩნდა თემის აღმასკომის მილიციონერი. შემოვიდა ოთახში, მიესალმა ყველას და გაიმეორა ის, რასაც ჭიშკრიდან იძახდა.

— სამაზრო აღმასკომიდან არიან, ჯავრობენ: „თვითგასამართლება არ იყო დასაშვებიო. აღმასკომი თვით უნდა გამხდარიყო წინააღმდეგიო“.

თემის თავმჯდომარეს და მის მხლებლებს ცოტათი სიწითლის ფერი გადაეკრა და უხმოთ გამოვიდნენ ოთახიდან, ასე რო დამშვიდობებაც დაავიწყდათ და გაუდგნენ გზას. მასპინძელმა მილიციონერს შემოაცდევინა, ღვინო შესთავაზა და ჰკითხა: „კაცო, რა თვით-გასამართლებაა, რაშია საქმე ერთი გაგვაგებიე“!

—„რავა არ გაგიგია, კაცო; „ქურდებთან მებრძოლმა კომისიამ“ ორი კაცი როგორც ქურდები, აქავე თვით გასამართლებით დახვრიტეს...

—როდის... სად.... რატომ ჩვენ ვერ გავიგეთ?! იყო შეკითხვა ყოველკედრიდან. სიჩუმე ჩამოვარდა.

„ამხანაგებო! — დაიწყო თამადამ—აღელვებული ხმით—მე სირცხვილათ მიმაჩნია ასეთი ამბავის გაგების შემდეგ სუფრაზე ვისხდეთ... მე მივდივარ... მეც... მეც... გევიდეთ ერთი აღმასკომში. გავიგოთ რაშია საქმე. ყველანი გამოვიდნენ და ამბავის გასაგებათ წავიდნენ. დარჩა ოთახში მხოლოდ გაციებული საჭმელი სუფრაზე და ღვინით სავსე სტაქნები. კარგი რამეა სიკვდილი, მაგრამ სიკვდილსაც გააჩნია. ქურდების თვით გასამართლებით სიკვდილი კი ცუდი ყოფილა ალბათ, რომ მოწვეულ სტუმრებს ყბები შეეკრათ და მადა დაეკარგათ.

—ton.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ“

№ 3 საქართველოს კომუნისტური პარტიის ახალგაზრდათა კავშირის გამოცემა.

ჟურნალი „მომავალი“ № 3, შინაარსით შედარებით მდიდარია. იგი შეიცავს მრავალ განყოფილებათ მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან. არის ფილოსოფიური განყოფილებაც, რომელიც უფრო სუსტია წერილების მხრივ ვიდრე ეს შეეფერება იმ თემას, რაზედაც ლაპარაკია აღნიშნულ განყოფილებაში. ასტრონომიიდან მრავალი ახალი ცნობებია მოყვანილი, რომელიც ინტერესით იკითხება.

ჟურნალში საკმაო ადგილი აქვს დათმობილი ბელეტრისტული და პოეტური ნაწარმოებისათვის. მონაწილეობენ ჩვენში კარგათ ცნობილი და დამსახურებული საზოგადო მოღვაწენი.

„მომავალი“-ს სარედაქციო კოლეგიას ეტყობა ენერგიულად მუშაობს, რომ ჟურნალი პერიოდიულად (ყოველთვიურად) გამოდის.

ფორმატი დიდია. გამოცემის მხრივაც სრულიად დამაკმაყოფილებელია.

გ. თ—ლი.

საღამო სიმფონიური მუსიკის და პირველი სიმფონიური კრება.

სახელმწიფო ოპერის დირიჟორი ბ. ბრონი ბრუნდა შვებულებიდან და მის ხელმძღვანელობით გაიმართა ორი კონცერტი სემფონიური ორკესტრისა.

პირველი საღამო შესდგა პროფკავშირების მუშათა კლუბში. ეს კონცერტი არ ატარებდა ხასიათს ნამდვილ სიმფონიურისას, მაგრამ მაინც წარმოადგენს მუსიკალურ ინტერესს.

ბ. ბრონი არის დირიჟორი ახალგაზრდა, მაგრამ სერიოზულად უყვარს ხელოვნება და გატაცებულია მით. ხანდისხან გარეგანი გამოხატულებახი დირიჟორობის ორკესტოთახ თითქმის ცოტათი ძომქახცველია. მაგრამ არა ყოველთვის ახალგაზრდათა ხელოვანი იმორჩილებს ორკესტრს. ასე მაგალითად უვერტიურა კოხერის „მიხიონში“ ბ. ბროხმა მოგვცა ნამდვილი მელოდიური სურათი და დინამიური გამოხატვა (оттенки)—იყო ლირიული ადგილები, ძაგრამ სიმფონიურ პოემაში სენ-სანსისა „ცეკვა სიკვდილის“-აში არ იყო მთელი სურათი ახელი ძალების ვაკხანალის ორკესტრიული ფერები სენ-სანსისა ამ პოემაში საუცხოოა, რაიც უნდა აღიხიშნოს. არ ვეთანხმები ბ. ბრონს გეტროში, რომელსაც ის იღებს.

გეტრო უნდა ჩქარდებოდეს თავიდან ბოლომდი, შეუძლებელია პოემის შუა ადგილას შენელება (ralentando u ritinuto).

ორი მელოდია ნორვერგიის კომპოზიტორ სვენდესის—შესრულებულ იქნა ძალიან კარგად. კაოგად შესრულდა სიმფონიური სურათი სენ-სანსისა „მომაკვდავი გედი“,—აღსანიშნავია ვიოლონჩელზე შესრულება კაპელნიცვის.

პირველი სიმფონიური კრება მკაცრ სიმფონიურ პროგრამით შესდგა ბ. ოხისიმე ბრონის ხელმძღვანელობით პროფკავშირების მუშათა კლუბში. კარდინალურ ნომრათ პროგრამისა იყო საუცხოვო სიმფონია კალინნიკოვის S—mole. სამწუხაროა, რომ კომპოზიტორი კალინნიკოვი გარდაიცვალა თავის კომპოზიტორულ ნიჭის—გაშლისას. ეს საუკეთესო ნიჭის კომპოზიტორია. ის მოკვდა ჭლექით 23 წლისა, მოასწრო რა გათავება მოსკოვის კონსერვატორიის. მან მოასწრო დაეწერა სულ ორი სიმფონია, რამდენიმე ფორტეპიანოს ნაწარმოებნი და სიმფონიური პოემა „Кедрь и Пальма“, რომელიც აგრეთვე იყო პროგრამაში კონცერტისა.

ბ. ბრონი სუბიექტიურად არჩევს—სიმფონიის S—mole -ანელებს ხანდისხან ადგილებს პირველი ნაწილისა, მეორე ნაწილი სავსეა პოეზიით და შესრულებულ იქნა ხასიათით მესამე და მეოთხე ნაწილი—შესრულდა ხალისით. ძალიან კარგად შესრულდებოდა ნაწყვეტები სიმსკი—კორსაკოვის ოპერიდან „ოქროს ძამალი“, რომ ორკესტრს გამოეჩინა მეტი красочност. პოემა „Кедрь и Пальма“ ითხოვს მეტ ლირიზმს. კარგად შესრულდა არია ოპერიდან „მეფის საცოლე“ და რამდენიმე რომანსები—სახელმწიფო ოპერის ბარიტონ ბ. კრეჟანოვსკის მიერ.

პ. ბებუთოვი.

„**ახალი კრუჟოკი**“. (ვერის ხიდთან) სამშაბათს 24 ივლისს, „კრუჟოკის ბაღში“ გაიმართება გრანდიოზული ბავშთა საღამო-სეირნობა: მოძრავი გასართობები, ბავშვებისთვის სუნდუკიანცის ხელმძღვანელობით—კონცერტი, ცეკვა და სხვა. დაუკრავს ორკესტრი. სეირნობის დასაწყისი საღამოს 6 საათიდან.

— „**ახალი კრუჟოკი**“. დღეს 24 ივლისს, კრუჟოკის საზაფხულო თეატრში შესდგება ქართველ მსახიობთა კოლექტივის მორიგი წარმოდგენა: წარმოდგენილი იქნება პირველად ტფილისის სცენაზედ ცნობილი ფრანგული კომედია „ნათლული“ 3 მოქმედებათ, მორის გენკენისა. თარგმნილი ი. ბარველის მიერ, წარმოდგენაში მონაწილეობას იღებს მთელი კოლექტივის შემადგენლობა. პიესას რეჟისორობს თვით მთარგმნელი ი. ბარველი. ეს პიესა პარიზის თეატრში 400-ჯერ იქმნა წარმოდგენილი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ᲢᲘᲤᲚᲘᲡᲘ 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ № 532 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კოზეინშტეინის ქუჩ. № 4.